



11882/3-98/21 2 06122021



11882/3-98/21
06-12-2021

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით:

- გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია საქართველოში მოქმედი ტელევიზიების, რადიოების, ონლაინ გამოცემების და ზოგადად მედიის მიერ გადახდილი საერთო-ეროვნული გადასახადების შესახებ 2012 წლიდან დღემდე - წლების, გადასახადების ტიპების, რაოდენობის და კომპანიების მიხედვით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
დავით უსუფაშვილი



შემოსავლების სამსახური

თბილისი 0160, მ. კოსტავას №68ა
/ ს. ჩიქოვანის №2
ტელ: +995 (32) 226 21 40
ელ. ფოსტა: info@rs.ge
ვებ საიტი: www.rs.ge

შემოსავლების დეპარტამენტი

147333-21-11-2-202112141757

N 21-11/147333



<https://edoc.mof.ge/public/#/>

14/12/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ დავით უსუფაშვილს

თქვენი 2021 წლის 6 დეკემბრის N 11882/3-98/21 (რეგ. N 251152/01) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სსკ-ის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად „საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ინფორმაცია (გარდა 1¹ ნაწილში აღნიშნული ინფორმაციისა) განეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას“. გადამხდელის წერილობითი ნებართვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს სხვა პირს. შესაბამისად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ ინფორმაცია გადამხდელის ჭრილში.

ამასთან გაცნობებთ, რომ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ელ. მისამართზე: <http://www.treasury.ge/5709>.

ლევან დგებუაძე

დეპარტამენტის უფროსი

შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტი

